ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 14

გამარტივებული შესყიდვა

(საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე)

დაფინანსების წყარო 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი "10" დეკემბერი 2016 წ.

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.N GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **გიორგი ჩოგოვაძის** სახით და **სს "სილქნეტი"** (მის: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის #95 ტელეფონი: 100000/1710, საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" ბ.კ. BAGAGE22 ა.ა. GE15BG0000000257417200 ს.კ. 204566978) შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება' - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შემდგომ პუნქტებში სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ინტერნეტ მომსახურება

(CPV 72400000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **1 400.00** (ათას ოთხასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს.** მომსახურების ტარიფები მოცემულია დანართში #1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს: **2017 წლის 04 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით;**

3.5. მომსახურების გაწევის ადგილი: დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, #17.

4. მხარეთა მოვალეობები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი #1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. **ინსპექტირებას განახორციელებს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სპეციალისტი იური ამბარცუმიანი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ ადგილი აქვს სატელევიზიო სიგნალის დაზიანებას, ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ამ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათისა გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება, ხარვეზამდე გაწეული მომსახურების ღირებულების გამოკლებით.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

7.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ს ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.4 თუ ერთ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს იმ მხარისგან, რომელსაც დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ამ გარემოებების დადგომიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი დაგაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	სს "სილქნეტი"
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს #4	მისამართი: ქ. თბილის, წინამძღვრიშვილის #95
ტელეფონი: 2436999	ტელეფონი: 100000/1710
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.GE24NB0330100200165022	საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	ბ.კ.BAGAGE22 ა.ა. GE15BG0000000257417200
სკ-204578206	ს.კ. 204566978

ხელმძღვანელი	კომერციული დირექტორი
გიორგი ჩოგოვაძე	ნუგზარ ჩიტჩალაძე

დანართი #1

#	მომსახურების დასახელება	მომსახურების გაწევის ადგილი	გასაწევი მომსახურების რაოდენობა	გასაწევი მომსახურების ყოველთვიური ღირებულება	გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება ლარებში
1	ინტერნეტის მომსახურება	დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, #17	4 თვე	300.00 ლ	1 200.00 ლ
2	ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულება	დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, #17	1	200.00 ლ	200.00 ლ
				სულ:	1 400.00 ლარი

ტექნიკური მოწყობილობა	ღირებულება ლარში
ოპტიკური ინტერნეტის მოდემი □ (ოთხპორტიანი)	(მოწყობილობა აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში) ოპტიკური ინტერნეტის მოდემით დროებით სარგებლობის ღირებულება გათვალისწინებულია საბონენტო გადასახადში
50 მეტრი ოპტიკის კაბელის ინსტალაცია მოდემამდე გათვალისწინებულია საბონენტო გადასახადში	
50 მეტრს ზევით გახარჯულ ყოველ 1 მეტრ ოპტიკის კაბელზე	განსაზღვრული ტარიფის შესაბამისად
დამატებითი ტექნიკური მოწყობილობები	ღირებულება ლარში
WiFi მოდემი □	100 (მოწყობილობა აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში)

1. **მომსახურების ძირითადი პირობები**

1.1. **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**

- ყოველთვიური საბონენტო გადასახადის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, **საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა.**
- ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის საბონენტო გადასახადთან ერთად.

1.2. **მომსახურების შეზღუდვის პირობები**

- მომსახურება იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან.

1.3. **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები (წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**

- თუ აბონენტის მიერ არ მოხდება დავალიანების დაფარვა გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.
- ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

1.4. **მომსახურების აღდგენის პირობები**

- მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

2. **მოწყობილობების დაბრუნება**

2.1. დავალიანების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები" გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ტვ მსახურებასთან ერთად VOIP სატელეფონო მომსახურება, ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

2.2. აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები" „ხელშეკრულების" შეწყვეტისთანავე.

- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ინტერნეტ, სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურება, და იგი ითხოვს მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტას (და იტოვებს სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურებას), ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების" დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების" აბონენტის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება „ტექნიკური საშუალებების" ღირებულება.

აბონენტი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ცხრილში მითითებული „ტექნიკური საშუალებების" ღირებულება მომსახურების მიღების პერიოდში (ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის არარსებობისას) „ტექნიკური საშუალებების" დაზიანების/განადგურების შემთხვევაში.

მოწყობილობის დასახელება	მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება ლარში
დსლ მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wi-fi მოდემი)	25
ოპტიკური მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wi-fi მოდემი)	125
დეკოდერი (STB)	125
Wireless access point	10
მედია კონვერტორი	180

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, გაუქმების პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „სილქნეტის" ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და სს „სილქნეტის" მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ხელმძღვანელი	კომერციული დირექტორი
გიორგი ჩოგოვაძე	ნუგზარ ჩიხჩალაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ინტერნეტით მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ 2016 წლის 30 დეკემბრის N 14 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი		გიორგი ჩოგოვაძე
ინსპექტირების განმახორციელებელი პირი		იური ამბარცუმიანი
მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი		ალექსანდრე ყანჩაველი